სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება განსაზღვრავს სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის (შემდგომში - აკადემია) მაგისტრატურის (შემდგომში - მაგისტრატურა) სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს მაგისტრატურის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.
2. მაგისტრატურა წარმოადგენს აკადემიის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულს.
3. მაგისტრატურა თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საკანონმდებლო აქტების, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აკადემიის წესდების, აკადემიის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და ამ დებულების შესაბამისად.
4. მაგისტრატურა ანგარიშვალდებულია აკადემიის რექტორის და რექტორის მოადგილის წინაშე.

მუხლი 2. მაგისტრატურის დანიშნულება და მიზანი

1. მაგისტრატურა არის აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხური, სასწავლო პროგრამების ერთობლიობა, რომელიც შეიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს.
2. მაგისტრატურა მიზანად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევარის (მაგისტრის) მომზადებას და ამზადებს პირს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის.

მუხლი 3. მაგისტრატურის ძირითადი ამოცანები და მათი შესრულების მექანიზმები

1. მაგისტრატურის ძირითადი ამოცანებია:
ა) აკადემიის საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესის განვითარების ხელშეწყობა;
ბ) სასწავლო პროცესის დაგეგმვა და ორგანიზება;
გ) ინოვაციური მიდგომების დანერგვა და კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრირება;
დ) მსმენელისა და აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარება;
ე) საგანმანათლებლო პროცესის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.

2. ამოცანის შესასრულებლად მაგისტრატურა:
ა) შეიმუშავებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ადგენს შესაბამის პროგრამებსა და გეგმებს;
ბ) ახორციელებს მსმენელთა მომზადებას და ანიჭებს მათ შესაბამის აკადემიურ ხარისხს;
გ) კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს განათლებისა და მეცნიერული კვლევისათვის

აუცილებელ პირობებს;
დ) აკადემიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებით ახორციელებს სასწავლო-მატერიალური ბაზის დაგეგმვასა და ორგანიზებას;
ე) ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, განახლებას და დახვეწას;
ვ) უზრუნველყოფს მსმენელთა მაღალი აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინარული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად შესაბამისი ღონისძიებების გატარებას;
ზ) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ქონების სწორ ექსპლუატაციასა და დაცვას;
თ) მონაწილეობს აკადემიის აკადემიური საბჭოს მუშაობაში;
ი) ახორციელებს აკადემიის წესდებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 4. მაგისტრატურის მართვის ორგანო და მისი უფლებამოსილება

1. მაგისტრატურის წარმომადგენლობითი ორგანოა მაგისტრატურის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის მაგისტრატურის ხელმძღვანელი, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულების უფროსები და მაგისტრატურის აკადემიური პერსონალი.
2. მაგისტრატურის საბჭოს ხელმძღვანელობს მაგისტრატურის ხელმძღვანელი.
3. მაგისტრატურის საბჭო:
ა) შეიმუშავებს და აკადემიის რექტორის მოადგილე-შტაბის უფროსს წარუდგენს მაგისტრატურის ბიუჯეტის პროექტს;
ბ) მაგისტრატურის ხელმძღვანელის წარდგინებით შეიმუშავებს და აკადემიურ საბჭოს წარუდგენს მაგისტრატურის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;
გ) მაგისტრატურის ხელმძღვანელის წარდგინებით შეიმუშავებს მაგისტრატურის სტრუქტურას და წარუდგენს რექტორს;
დ) მაგისტრატურის ხელმძღვანელის წარდგინებით შეიმუშავებს მაგისტრატურის დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;
ე) შეიმუშავებს, განიხილავს და დასამტკიცებლად წარადგენს საგანმანათლებლო პროგრამებს აკადემიურ საბჭოზე;
ვ)ამტკიცებს მსმენელთა სამაგისტრო ნაშრომების დასახელებასა და ხელმძღვანელებს;
ზ) ანიჭებს მაგისტრის აკადემიურ ხარისხს კურსდამთავრებულებს;
თ) საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.
4. მაგისტრატურის საბჭო უფლებამოსილია, თუ მაგისტრატურის საბჭოს სხდომას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
5. მაგისტრატურის საბჭოზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.
6. მაგისტრატურის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება მაგისტრატურის საბჭოს ოქმით და გადაწყვეტილებით.
7. მაგისტრატურის საბჭოს ოქმი მოიცავს იმ სხდომაზე განსახილველ, დღის წესრიგით გათვალისწინებულ ყველა საკითხს, რომლის შემდგომაც თითოეულ საკითხზე ცალ-ცალკე გამოიცემა გადაწყვეტილებები.

8. მაგისტრატურის საბჭოს სხდომათა რაოდენობა ინომრება შემსრულებლის მიერ და ნუმერაცია იწყება ყოველ ახალ წელს თავიდან. აღნიშნული ფორმით ინომრება მხოლოდ ოქმი.
9. მაგისტრატურის საბჭოს ოქმისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების ატვირთვა ხორციელდება ელექტრონულად, ელექტრონული საქმის წარმოების სისტემა - EMOD-ის მეშვეობით.
10. მაგისტრატურის საბჭოს ოქმს ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და ყველა წევრი(შესაბამისად ავტორების ველში იტვირთება ყველა წევრი), ხოლო გადაწყვეტილებას ხელს აწერს მხოლოდ საბჭოს თავმჯდომარე(შესაბამისად ავტორების ველში უნდა მიეთითოს მხოლოდ თავმჯდომარე).
11. გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება წარმოადგენს შესაბამისი ოქმის (რომელ ოქმშიც მოხდა იმ საკითხის განხილვა, რაზეც იქნა გადაწყვეტილება მიღებული) განუყოფელ ნაწილს.
12. ელექტრონულ სისტემაში ატვირთულ მაგისტრატურის საბჭოს ოქმს, ავტორების მიერ ხელის სრულად მოწერის შემდგომ ენიჭება ნომერი(მაგ, საიდანაც ვიყენებთ) 0-ების შემდგომ არსებულ ბოლო 6 ციფრს). ნომრის მინიჭების შემდგომ უნდა აიტვირთოს გადაწყვეტილება, ვინაიდან ამ მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად გადაწყვეტილება უნდა მოიცავდეს ოქმის ნომერს.
13. ელექტრონულ სისტემაში ატვირთულ მაგისტრატურის საბჭოს გადაწყვეტილებას ავტორის მიერ ხელმოწერის შემდეგ ენიჭება ნომერი(მაგ. საიდანაც ვიყენებთ 0-ების შემდგომ არსებულ ბოლო 6 ციფრს), რომელიც უნდა იქნას მითითებული ყველა სახის დოკუმენტში, სადაც აღნიშნული გადაწყვეტილება წარმოადგენს საფუძველს.

მუხლი 5. მაგისტრატურის ხელმძღვანელი

1. მაგისტრატურის ხელმძღვანელი არის აკადემიის ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, რომელსაც რექტორის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს თავდაცვის მინისტრი.
2. მაგისტრატურის ხელმძღვანელი:
ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს მაგისტრატურის საქმიანობას;
ბ) უზრუნველყოფს მაგისტრატურის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტურად მიმდინარეობას;
გ) თავმჯდომარეობს მაგისტრატურის საბჭოს სხდომებს;
დ) მაგისტრატურის მუშაობის წლიურ ანგარიშს წარუდგენს რექტორს;
ე) მაგისტრატურის საბჭოს განსახილველად წარუდგენს მაგისტრატურის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;
ვ) კონტროლს უწევს მაგისტრატურის სტრუქტურული ერთეულების მუშაობას, თანამშრომელთა მიერ ფუნქცია-მოვალეობების შესრულებასა და დისციპლინის დაცვას;
ზ) შეიმუშავებს და მაგისტრატურის საბჭოს წარუდგენს მაგისტრატურის სტრუქტურასა და დებულებას;
თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

ი) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად პასუხისმგებელია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის რესურსების მიზნობრივ გამოყენებაზე;
კ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას;
ლ) ახორციელებს აკადემიის წესდებით, ამ დებულებითა და აკადემიის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა მოვალეობებს.
3. მაგისტრატურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშნულ სამხედრო მოსამსახურეზე, დამატებით ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით სამხედრო მოსამსახურეებისათვის დაკისრებული უფლებები და მოვალეობები.

მუხლი 6. მაგისტრატურის სტრუქტურა

1. მაგისტრატურის სტრუქტურული ერთეულებია:
ა) თავდაცვის ანალიზის მიმართულება;
ბ) უსაფრთხოების კვლევების მიმართულება;
გ) სახელმწიფო რესურსების მართვის მიმართულება.
2. მაგისტრატურის მიმართულებების ფუნქციებია:
ა) ახორციელებს თითოეული მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამებს და კვლევით პროექტებს;
ბ) უზრუნველყოფს კურიკულუმებისა და სილაბუსების შედგენას;
გ) ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფას სასწავლო - მეთოდური ლიტერატურით;
დ) აწარმოებს საგამოცდო უწყისებს და წარუდგენს მაგისტრატურას;
ე) უზრუნველყოფს საგამოცდო მასალისა და ტესტების მომზადებას;
ვ) უზრუნველყოფს შესრულებული/დამთავრებული სამუშაოების განხილვას;
ზ) ანაწილებს აკადემიურ დატვირთვებს თანამშრომლებს შორის;
თ) უზრუნველყოფს კვალიფიკაციის მაღალ ხარისხს.

მუხლი 7. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა აკადემიის აკადემიური საბჭოს დადგენილებით.